ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტი
ნ. ბოხუას ქ. 11, 0159
Tel: +995 32 2424440
info@newvision.ge
www.newvision.ge

New Vision University
11 N. Bokhua Str., 0159
Tel: +995 32 2424440
info@newvision.ge
www.newvision.ge

01.11.2022

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება 2022/11-01
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობისა და ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ

უნივერსიტეტის წესდების მე-4 და მე-10 მუხლების საფუძველზე, ამოქმედდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობისა და ანაზღაურების განსაზღვრის შემდეგი წესი:

1. აკადემიური პერსონალის დატვირთვა, წლის განმავლობაში, განისაზღვროს სრულ განაკვეთზე 1760 საათით, ხოლო ნახევარ განაკვეთზე 880 საათით.
2. აკადემიური პერსონალის ანაზღაურების ოდენობა, სრული დატვირთვისას, განისაზღვროს შემდეგი სქემის შესაბამისად:

	ასისტენტი	**ასისტენტ-პროფესორი**	**ასოცირებული პროფესორი**	**პროფესორი**
ფიქსირებული	1500 ლარი	1500 ლარი	2000 ლარი	2500 ლარი
ლოიალობის ბონუსი - ექსკლუზიურად მუშაობის პირობებში	1500 ლარი	1500 ლარი	2000 ლარი	2500 ლარი
საათობრივი ანაზღაურება	30 ლარი	30 ლარი	40-50 ლარი	60-125 ლარი

3. აკადემიური პერსონალის თანმდებობრივი დანამატი განისაზღვროს მოცემული ცხრილის შესაბამისად:

თანამდებობა	**დეკანი**	**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**	**ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსება ლოიალობის ბონუსის არარსებობის შემთხვევაში**
ფიქსირებული	1000	2000	ადმინისტრაციულ პოზიციაზე გათვალისწინებული ხელფასის 50%

4. უნივერსიტეტის დატვირთვის ჩარჩო სქემის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალის ზუსტი ანაზღაურება განისაზღვრება, მისი დატვირთვის შესაბამისად.
5. ამასთან, სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირის მინიმალური სააუდიტორიო დატვირთვა ყოველკვირეულად უნდა შეადგენდეს 6, ხოლო ნახევარ განაკვეთზე დასაქმების შემთვევაში - 4 საათს. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას შემთხვევაში სავალდებულოა 12 საათიანი, ხოლო ადმინისტრაციული თანამდებობის შეთავსების შემთხვევაში - 6 საათიანი მინიმალური ყოველკვირეული სააუდიტორიო დატვირთვა.
6. მინიმალური სააუდიტორიო დატვირთვისგან შეიძლება განთავისუფლდეს აკადემიური პერსონალი იმ შემთხვევაში თუ მას ექნება სპეციალური კვლევითი დატვირთვა რაც უკავშირდება კონკრეტული სამეცნიერო პროექტის განხორციელებას და შესაძლებელია გამოიხატოს სამეცნიერო პუბლიკაციებში. ამ შემთხვევაში, სავალდებულოა წელიწადში მინიმუმ 2 სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება. პუბლიკაციების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს ადგენს კვლევითი კომიტეტი.
7. 2013 წლის 18 აპრილის ბრძანება №2, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობისა და ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ, გამოცხადდეს ძალადაკარგულად.
8. ბრძანება ძალაში შედის 2022 წლის 01 ნოემბრიდან.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე
ეკატერინე აზარაშვილი